



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 16
10/01/2019

ქალაქი ბათუმი

16-05-4-201901101634



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების განაწილების კვარტალური გეგმის დამტკიცების შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №39 დადგენილებით დამტკიცებული „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი“-ს, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-სა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის ტ. ნაკაშიძის 2019 წლის 10 იანვრის №34-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების განაწილების კვარტალური გეგმა - დანართი №1 და №2-ის შესაბამისად.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მერის მოადგილეს კ.ფუტკარაძეს.

3. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ პირებზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა